ბრძანება № 425
"13" 08 2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. №250 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "ვ", "უ" ქვეპუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. №250 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 18.08.2015წ. №2 სხდომის ოქმის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. №250 ბრძანების დანართი 1-ში და საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენის ვადა განისაზღვროს საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 30 სამუშაო დღით.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. №250 ბრძანებისა და მისი დანართი 1-ის სხვა პუნქტები/პირობები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. №250 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ნინო ღოღობერიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
საქართველო, თბილისი 0160 ქ. მარტყოფის 7
ტელ: (+995 32) 272 22 22 ფაქსი: (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

18 აგვისტო, 2015 წელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.05.2015წ. N250 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის წევრი, ბიძინა გიორგობიანი, ვადასტურებ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საპროექტო მომსახურების – დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი: 1673) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და კონკურსში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

საკონკურსო კომისიის წევრი: ბიძინა გიორგობიანი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

(დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით)

ქ. თბილისი 18.08.2015წ.

სხდომას ესწრებოდნენ: დიმიტრი ქუმსიშვილი, ნინო ღოღობერიძე, ოთარ ნემსაძე, იოსებ ვარდოშვილი, ბიძინა გიორგობიანი, კახა ფოცხიშვილი, დავით აბულაძე, ლევან ბერიძე, ვლადიმერ ცინცაძე, დიმიტრი მოსულიშვილი, ნიკოლოზ აბაშიძე, გიორგი სალუქვაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: დავით ნარმანია, გიორგი ალიბეგაშვილი, გიორგი ტყემალაძე, გოჩა ბაბუნაშვილი, გიორგი გურგენიძე, მიხეილ ჯანელიძე, ცირა ელისაშვილი, ზვიად ბატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი ქუმსიშვილი
სხდომის მდივანი: თამთა ლომიძე

სხდომის დღის წესრიგი:

- მსჯელობა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენისათვის საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადის გაგრძელების საკითხთან დაკავშირებით.
- კანდიდატი N8–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა.
- პრეზენტაციასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

1. <u>განიხილება წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენისათვის საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადის გაგრძელების საკითხი.</u>

მსჯელობის შედეგად, საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენისათვის საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადის გაგრძელების თაობაზე, შემდგომი მიზეზების გამო:

საკონკურსო პირობებით, საკონკურსო წინადადებების მიღების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2015 წლის 01 აგვისტოს 15:00 საათი. ამ დროისათვის, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ჩაბარებული იქნა 11 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი, რაც რიცხობრივად უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამას ემატება ისიც, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვანმა ურბანულმა, არქიტექტურულმა, საკონულტაციო და სხვა ორგანიზაციებმა. მათ მიერ წარმოდგენილი მასალის ხარისხობრივად მაღალი დონის შეფასება ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს როგორც დამატებით დროს, ასევე საკონკურსო დოკუმენტაციის მკაცრ და ზუსტ ექსპერტიზას.

ამასთან, საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენის ვადის ცვლილებით არ ხდება საკონკურსო პირობების ისეთი ცვლილება, რაც გავლენას იქონიებს კონკურსის შედეგებზე, არ იცვლება საკონკურსო წინადადების შემადგენლობა, საკვალიფიკაციო მონაცემები, საორგანიზაციო დოკუმენტები და პირობები, წინასაპროექტო მოსაზრების შემადგენლობა ან თუნდაც, საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ფორმა.

სამუშაოების კომპლექსურობიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ვადის გაგარძელებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე ეხება დედაქალაქ თბილისის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას. ეს სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის განვითარებას მომავალი 20 წლის მანძილზე, საჭიროებს უფრო დეტალურ ანალიზსა და შესწავლას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დაავალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულ(ებ)ის გამოვლენისათვის საკონკურსო პირობებით დადგენილი ვადის გაგრძელების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების საკონკურსო დოკუმენტაციაში შეტანა.

2. <u>განიხილება კანდიდატი N8–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.</u>

საკონკურსო კომისიის მიერ, განხორციელდა კანდიდატი N8–ის (კომპანია „SCP Consultants Pte Ltd. Singapore“, გიორგი გიორგაძე და სხვები) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების დეტალური გაცნობა.

მსჯელობის შედეგად, საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მოეთხოვოს კონკურსანტს მის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილ 2015 წლის ივლისის თვით დათარიღებულ განცხადებასთან დაკავშირებით, 2015 წლის 24 აგვისტომდე, დააზუსტოს: კონკურსში II ან III ადგილის მოპოვების შემთხვევაში, გამოთქვამს თუ არა თანხმობას მის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი წინასაპროექტო მოსაზრების (ხედვის) შესყიდვასთან და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, კონკურსისათვის დადგენილი საკონკურსო პირობების შესაბამისად.

საკონკურსო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დაავალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის მომზადება და კონკურსანტისათვის გაგზავნა.

3. <u>პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკისა და ფორმის ცვლილება.</u>

საკონკურსო კომისიის მიერ, 2015 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი N1) მიღებული გადაწყვეტილებით, განისაზღვრა კონკურსანტების მიერ პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკი და ფორმა.

საკონკურსო კომისიამ, მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა, რომ შეიტანოს ცვლილება 2015 წლის 13 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი N1) მიღებულ გადაწყვეტილებაში და კონკურსანტების მიერ პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკი და ფორმა განისაზღვროს შემდეგი სახით:

პრეზენტაციების ჩატარების გრაფიკი: პრეზენტაციები ჩატარდება 2015 წლის 26 და 27 აგვისტოს და კანდიდატები წარსდგებიან შემდეგი თანმიმდევრობით:
26 აგვისტო – კანდიდატი N8, კანდიდატი N9, კანდიდატი N7;
27 აგვისტო – კანდიდატი N3, კანდიდატი N6, კანდიდატი N11.

პრეზენტაციების ჩატარების ფორმა: პრეზენტაცია ტარდება მხოლოდ ერთი კანდიდატისა და საკონკურსო კომისიის მონაწილეობით; კანდიდატს ეძლევა 30 წუთი პრეზენტაციისათვის და 1 საათი კითხვა – პასუხის რეჟიმისათვის; პრეზენტაციის ენა – ქართული/ინგლისური; თითო კანდიდატს შეუძლია თავისი გუნდის არაუმეტეს თხუთმეტი წევრის მოწვევა, რომლის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ მიეწოდება სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, არაუგვიანეს 2015 წლის 25 აგვისტოსა.

დიმიტრი ქუმსიშვილი		ლევან ბერიძე	
ნინო ღოღობერიძე		ვლადიმერ ცინცაძე	
ოთარ ნემსაძე		დიმიტრი მოსულიშვილი	
იოსებ ვარდოშვილი		ნიკოლოზ აბაშიძე	
ბიძინა გიორგობიანი		გიორგი სალუქვაძე	
კახა ფოცხიშვილი		თამთა ლომიძე	
დავით აბულაძე			